თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №13

თბილისი, 20 ნოემბერი, 2020

სხდომა დაიწყო 11:05 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლონდა ბიჭიკაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ოსაძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) მოვალეობის შემსრულებელი სოფიო ტეფნაძე;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი თამარ ზუბაშვილი.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- „ევროატლანტიკური ვექტორი“ – სერგო ჯავახიძე;
- „ზვიადის გზა (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის)“ – მიხეილ (გელა) სალუაშვილი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- „პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“ – დანიელ დავითაშვილი;
- „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი;
- „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ვლადიმერ ბოჟაძე;
- „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;
- „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი” (ICDI) – მერი კაპანაძე;

– „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD) – ცოტნე ჯამბურია;
– „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ – ნინო ცაგარეიშვილი;
– „დემოკრატიული არჩევანი“ – ქეთევან გვიშიანი;
– „მრავალეროვანი საქართველო“ – გიორგი გულიაშვილი;
– „პლატფორმა – სამოქალაქო ინიციატივა“ – მაკა ბენაშვილი;
– „სამოქალაქო ჩართულობის და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ – ქეთი სალაძე;
– „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, სხდომა გახსნა 11:05 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებული ინფორმაციის განხილვა;
2. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
3. სხვადასხვა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე გადავიდა მედიამონიტორინგით გამოვლენილი ინფორმაციის განხილვაზე. პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა მარნეულში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ლაშა ქველაძის ოჯახზე განხორციელებულ თავდასხმას, ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი ოსაძეს.

როგორც ბატონმა გიორგიმ განაცხადა, 2020 წლის 10 ნოემბერს შსს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონულ სამმართველოში შესული შეტყობინების თანახმად,

ინიციატორ ა.ქ.-ს განცხადებით, მის საცხოვრებელ სახლთან იკრიბებოდნენ პირები, რომლებიც აპირებდნენ მის და მისი ოჯახის წევრების მიმართ ძალადობრივი ქმედების განხორციელებას.

შეტყობინების საფუძველზე ინიციატორ ა.ქ.-თან შემდგარი გასაუბრებისას მან განმარტა, რომ მის სახლთან შეკრებილი საკრებულოს თანამშრომლები და თანმხლები პირები აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, თუმცა, მისი მისამართით სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარას ადგილი არ ჰქონია.

შესული შეტყობინების საფუძველზე 2020 წლის 11 ნოემბერს მარნეულის შს სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში ლაშა ქველაძესთან შემდგარი გასაუბრებისას გაირკვა, რომ 2020 წლის 10 ნოემბერს, საღამოს საათებში, ლაშას დაურეკა ბიძამ (ბ.ქ.) და სთხოვა მასთან სოფელში ჩასვლა, რადგან მათთან მისული შ.ბ. მათ აგინებდა. ადგილზე მისვლის შემდეგ ლაშა ქველაძე შეესწრო მათი მისამართით გინებას იქ შეკრებილთა მხრიდან ლაშა ქველაძის განმარტებით, მას ზემოხსენებულ პირთა მხრიდან სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარის სიტყვები პირადად არ გაუგონია.

ამ ეტაპისათვის მარნეულის რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება სავარაუდო სამართალდამრღვევი პირების დადგენის მიზნით.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) წარმოადგინა მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარის განმარტება, რომლის თანახმად, ინფორმაციაში მითითებული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება; ამასთან, ინფორმაციის სიცრუეს ადასტურებს ისიც, რომ ლაშა ქველაძის ოჯახი არ ცხოვრობს იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც თითქოსდა თავს დაესხნენ და შეურაცხყოფა მიაყენეს მათ. ბატონი ამირან გიორგაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, იგი აპირებს სამართლებრივ ბრძოლას ღირსებისა და პატივის აღსადგენად. ასევე, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც შეეხება 29 სექტემბრის დაპირისპირებისას მხოლოდ ლაშა ქველაძის დაკავებას (ამ დაპირისპირებისას დაკავებულ იქნა ბატონი ამირანის შტაბის ორი წევრიც).

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა 21 ნოემბრის არჩევნებზე მმართველი გუნდის მიერ ამომრჩევლის ძალდატანებით მიყვანასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაზე წარმოადგინა აჭარის მთავრობის და ბათუმის მუნიციპალიტეტის განმარტება, რომლის თანახმად, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, აგიტატორებს უფლება აქვთ, ამომრჩევლებს მოუწოდონ ამა თუ იმ კანდიდატის მხარდაჭერისკენ; ის ინფორმაცია, რომ მმართველი გუნდი გეგმავს არჩევნებზე ამომრჩეველთა ძალდატანებით მიყვანას, არ

შეესაბამება სიმართლეს და ინფორმაციაში ამის შესახებ მოყვანილი განცხადებებიც ატარებდა ზოგად ხასიათს.

მედიამონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განხილვის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მიუბრუნდა წინა სხდომებზე განხილულ საკითხებს უწყებების მიერ დამატებით წარმოსადგენ საბოლოო ინფორმაციასთან დაკავშირებით.

ბოლნისში კახა ოქრიაშვილის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) მხარდამჭერზე თავდასხმასთან დაკავშირებით ბატონმა გიორგი ოსაძემ აღნიშნა, რომ დამატებით გამოიკითხა რამდენიმე პირი, მაგრამ საქმეზე რაიმე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის, რადგან კვლავ მიმდინარეობს გამოძიება.

31 ოქტომბრის არჩევნების დღეს თბილისისა და ზუგდიდის მასშტაბით „ნიუპოსტის“ წარმომადგენლების მიერ ამომრჩეველთა სახეების სკანირების/გადაღების და ფოტოვიდეოგადაღების წესის დარღვევასთან დაკავშირებით (13 ნოემბრის სხდომაზე ქალბატონი ელენე კალანდაძის („დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“) და ქალბატონი მაკა ბენაშვილის („პლატფორმა – სამოქალაქო ინიციატივა“) მიერ გახმიანებული ინფორმაცია) ქალბატონმა თამარ ზუბაშვილმა (სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური) განაცხადა, რომ „ნიუპოსტის“ მიერ ჯერ კიდევ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დაანონსდა სპეციალური აპლიკაციის მოსალოდნელი გამოყენების თაობაზე. ამ აპლიკაციით უნდა მომხდარიყო სკანირება და ფოტოების გადაღება, რაც არჩევნების დღეს განხორციელდა კიდეც სხვადასხვა საარჩევნო უბანზე; საკითხის შესასწავლად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა „ნიუპოსტს“ მიმართა ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით, რომელსაც შესაბამისი პასუხი ჯერ არ წარმოუდგენია.

უწყებათაშორისი კომისიისთვის 39 საარჩევნო უბნის ხმების გადათვლის შედეგად დაზუსტებული ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით (13 ნოემბრის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ბატონი ცოტნე ყავლაშვილის, მიერ დასმული საკითხი) ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა წარმოადგინა რამდენიმე უბნის გადათვლის მონაცემები:

№03.03.52. საარჩევნო უბანზე პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შეიცვალა მონაცემები, კერძოდ: „სტრატეგია აღმაშენებელს“ ეწერა 3 ხმა, ნაცვლად 33-ისა, „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეებს“ ეწერა 2 ხმა, ნაცვლად 42-ისა, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ ეწერა 1 ხმა, ნაცვლად 21-ისა;

№03.03.33 საარჩევნო უბანზე პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შეიცვალა მონაცემები, კერძოდ: „ქართულ ოცნებას“ 317-ის ნაცვლად დაუდგინდა 318 ხმა, „ერთიან ნაციონალურ

მოძრაობას“ 226-ის ნაცვლად დაუდგინდა 225 ხმა და ბათილ ბიულეტენებად 25-ის ნაცვლად დადგინდა 26;

№03.03.73 საარჩევნო უბანზე პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შეიცვალა მონაცემები, კერძოდ: „ლეიბორისტულ პარტიას“ 9-ის ნაცვლად დაუდგინდა 7 ხმა, „საქართველოს“ 0-ის ნაცვლად დაუდგინდა 1 ხმა, „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეებს“ 84-ის ნაცვლად დაუდგინდა 54 ხმა, „ევროპულ საქართველოს“ 0-ის ნაცვლად დაუდგინდა 35 ხმა და ბათილ ბიულეტენებად 2-ის ნაცვლად დადგინდა 25;

№05.06.97 საარჩევნო უბანზე პროპორციულ შემაჯამებელ ოქმში შეიცვალა მონაცემები, კერძოდ: „ლეიბორისტულ პარტიას“ 5-ის ნაცვლად დაუდგინდა 4 ხმა, „რეფორმერს“ ეწერა „X“ და უნდა ყოფილიყო 1 ხმა, „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეებს“ 4-ის ნაცვლად დაუდგინდა 26 ხმა, „სტრატეგია აღმაშენებელს“ 9-ის ნაცვლად დაუდგინდა 39 ხმა, „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზას“ 1-ის ნაცვლად დაუდგინდა 2 ხმა, „გირჩს“ 2-ის ნაცვლად დაუდგინდა 32 ხმა, „ეროვნულ დემოკრატიულ მოძრაობას“ 4-ის ნაცვლად დაუდგინდა 5 ხმა, „ქართულ მარშს“ 9-ის ნაცვლად დაუდგინდა 6 ხმა და „ლელოს“ 6-ის ნაცვლად დაუდგინდა 26 ხმა.

ბატონი გიორგი კალანდარიშვილის განცხადებით, ზემომითითებულის გარდა, შედეგები ყველა უბანში გასწორდა, სადაც კი განხორციელდა ხმების ხელახლა გადათვლა. მისი თქმით, მონაცემთა მინიმალური სხვაობა არჩევნების შედეგებზე რეალურ გავლენას ვერ მოახდენდა, თუმცა, რა თქმა უნდა, იყო ხარვეზები – ამ ეტაპზე უკვე სრულად გადაჭრილი. როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი შესწორებების რაოდენობა მხოლოდ უმნიშვნელოდ აღემატებოდა წინა წლების არჩევნებზე დაფიქსირებული განსხვავებების რაოდენობრივ მაჩვენებელს. ამასთან, ცესკო-ს წარმომადგენელმა შემაჯამებელ ოქმებზე გაკეთებული ხელმოწერების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა ოქმი ხელმოწერილი იყო კომისიების თორმეტივე წევრის მიერ და მათ მიმართ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია; მართალია, კანონმდებლობა ავალდებულებს კომისიის ყველა წევრს შემაჯამებელ ოქმზე ხელის მოწერას, მაგრამ თუ რომელიმე წევრი არ დაეთანხმებოდა ოქმში ასახულ მონაცემებს, მას უფლება ჰქონდა, მასზე დაერთო თავისი განსხვავებული აზრი, რისი შემთხვევებიც, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა იყო.

კომისიის თავმჯდომარის თხოვნაზე – შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს მოეწოდებინა ინფორმაცია არჩევნების დღეს მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებით გამოვლენილი ახალი გარემოებებისა და ამ მხრივ უწყების მიერ მიღებული ზომების შესახებ, ბატონმა გიორგი ოსაძემ განაცხადა, რომ უწყებათაშორისი კომისიის მიერ მედიამონიტორინგის შედეგად მოპოვებული არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაციებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის 12 საქმეზე დაიწყო

გამოძიება სსკ 164-ე მუხლით (ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა და არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება; ასევე, საარჩევნო დოკუმენტის, მათ შორის, შემაჯამებელი თუ შესწორების ოქმის სავარაუდო გაყალბება). ბატონი გიორგის თქმით, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში იკვეთება დანაშაულის გარკვეული ნიშნები და, საერთო ჯამში, თბილისის 4 სამმართველოში (გლდანი-ნაძალადევის, ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის და ისანი-სამგორის) გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის 4 საქმეზე 11 ფაქტთან დაკავშირებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში – 1 ფაქტთან, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტში – 2 ფაქტთან, თიანეთის რაიონულ სამმართველოში – 1 ფაქტთან, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში – 1 ფაქტთან, კახეთის პოლიციის დეპარტამენტში – 3 ფაქტთან, შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში – 2 ფაქტთან და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტში – 3 ფაქტთან დაკავშირებით. გამოძიებები დაწყებულია 16, 17 და 18 ნოემბერს და, ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არცერთ საქმეზე არ არის მიღებული. ხელმოწერების შესაძლო გაყალბების საქმეებთან მიმართებით უწყების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგეგმება ექსპერტიზის ჩატარება, რომლის პარალელურად საგამოძიებო ორგანოებში გამოძახებულნი იქნებიან განმცხადებელთა მიერ მითითებული პირები (კომისიის წევრები, დამკვირვებლები და ა.შ.).

თითოეულ საკითხზე უწყების პოზიციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევდა, დაესვათ კითხვები ან წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია.

ბატონმა მიხეილ (გელა) სალუაშვილმა („ზვიადის გზა (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის))“ გამოთქვა პრეტენზია მარნეულის №13.22.67 საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმში მისი პარტიის კუთვნილი ხმების არასწორად ასახვის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს, მოიძიოს ინფორმაცია ბატონი მიხეილ (გელა) სალუაშვილის განცხადებასთან დაკავშირებით და წარმოადგინოს კომისიის შემდეგ სხდომაზე განსახილველად.

ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ („ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“) განაცხადა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ არჩევნების გაყალბებულად ჩატარების შეფასება არის გადაჭარბებული. მისი საუბარი შეეხო კომისიის წევრების მხრიდან დაშვებულ შეცდომებს ოქმებში არსებულ შესწორებებთან დაკავშირებით. ბატონმა გრიგოლმა მიმართა კითხვით ცესკო-ს წარმომადგენელს, თუ რამ გამოიწვია მსგავსი შეცდომები – არაკვალიფიციურმა

კადრებმა (კომისიის წევრებმა), თუ მათზე ზოგიერთი ოპოზიციური და არასამთავრობო ოგანიზაციების წარმომადგენლების მიერ განხორცილებულმა ზეწოლამ.

როგორც ცესკო-ს წარმომადგენელმა განაცხადა, ზოგადად, კორონავირუსისაგან გამოწვეულმა პრობლემებმა ხელი შეუშალა საარჩევნო პროცესს. მისი თქმით, საუბნო საარჩევნო კომისიის ბევრ წევრს დაუდასტურდა „კოვიდ-19“, რის გამოც მათ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერეს განცხადებები უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. ამასთან, საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ინფორმაციის ამაღლების კუთხით ჩაუტარდათ 3-4-ეტაპიანი ტრენინგები. სწორედ ამგვარად სპეციალიზებული (დატრენინგებული, კვალიფიციური და ინფორმირებული) ნაწილი გამოაკლდა კომისიებს ვირუსის გავრცელების პრევენციის გამო. ასეთი ასობით კვალიფიციური პირის არჩევნებამდე 2-3 დღით ადრე ჩანაცვლებამ გარკვეულწილად შეასუსტა კომისიის წევრების კვალიფიციურობა. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს უწევდათ სერიოზული სტრესის ქვეშ ყოფნა, რაც გამოწვეული იყო საარჩევნო პროცესში ჩართული ოპოზიციური სუბიექტების მხრიდან წნეხით.

ბატონმა ვლადიმერ ბოჟაძემ („სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“) კომისიას მიმართა კითხვით 21 ნოემბრის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით – გაუქმდებოდა თუ არა კორონავირუსის პანდემიის გამო გასატარებელი დამატებითი შეზღუდვები, რათა დამკვირვებლებს მისცემოდათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება.

კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობდა, ვინაიდან კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომას (სადაც განიხილება მსგავი საკითხები) ვერ ესწრებოდა სწორედ დღევანდელი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გამო.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა ბატონო ვლადიმერ ბოჟაძის კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხებზე ცესკო-ში შესული არაერთი მიმართვის ფონზე ორგანიზაციას მჭიდრო კოორდინაცია აქვს სხვადასხვა უწყებათან. ამასთან, დამკვირვებლებისა და ამომრჩეველთა გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, 21 ნოემბერს და მომდევნო დღის დილის 05:00 საათამდე მოიხსნა შეზრუდვები.

ბატონმა გელა სალუაშვილმა ცესკო-ს წარმომადგენელს კითხვით მიმართა, შეესაბამებოდა თუ არა სინამდვილეს მისთვის ცნობილი ინფორმაცია, რომ 2021 წლის არჩევნებისთვის საარჩევნო

კომისიის წევრებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით აღარ ჩატარდებოდა ტრენინგები.

ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა განაცხადა, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საფუძველზე (საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების გადამზადების მიზნით) შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრი“, რომელიც იფუნქციონირებს მომავალი არჩევნებისთვისაც. შესაბამისად, ზემოხსენებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

ბატონი გრიგოლ გაგნიძის განცხადებით, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი არჩევნების მეორე ტურის დღეს აპირებს საარჩევნო უბნებთან სირცხვილის კორიდორის მოწყობას მმართველი პარტიის წარმომადგენლებისთვის, რამაც შეიძლება გარკვეული დაძაბულობა გამოიწვიოს. იგი დაინტერესდა, შსს-მ მიიღო თუ არა რაიმე ზომები ზემოაღნიშნული ქმედებების პრევენციის მიზნით.

ბატონმა ნუგზარ მელაძემ („მწვანე დედამიწა“) ისაუბრა 31 ოქტომბერს საარჩევნო უბნებზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან კომისიის წევრებზე განხორციელებულ ზეწოლაზე, რაც გამოიხატებოდა სიტყვიერი შეურაცხყოფებით მათ მიმართ. მანაც მიმართა კითხვით შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, მიიღო თუ არა ზომები უწყებამ 21 ნოემბერს მსავსი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით.

როგორც ბატონმა გიორგი ოსაძემ ბატონი გრიგოლის საპასუხოდ განაცხადა, კანონი ითვალისწინებს არჩევნების დღეს პოლიციის დანაყოფების მობილიზებას საარჩევნო უბნებთან შესაძლო სისხლის სამართლის დანაშაულისა თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თავიდან აცლების მიზნით. მისი თქმით, ადგილობრივი პოლიციის დამსახურებაა, რომ 31 ოქტომბერს უფრო მეტად ადმინიტრაციული სამართალდარღვევის კუთხით დაჯარიმდნენ პირები საარჩევნო უბნებთან, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის კუთხით. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ 21 ნოემბერს საარჩევნო უბნებთან ზემოხსენებული ფაქტები დაფიქსირდება, რა თქმა უნდა, პოლიცია დაუყოვნებლივ რეაგირებას მოახდენს.

ბატონი ნუგზარ მელაძის საპასუხოდ მან განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში კონკრეტული ძალადობის ან/და წვრილმანი ხულიგნობის ფაქტზე შესულ შეტყობინებაზე სამინისტრო მყისიერად რეაგირებს. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველანაირად ეცდება, რომ საარჩევნო უბნებზე მსგავსი ფაქტები უმალ აღკვეთოს.

ბატონი დანიელ დავითაშვილი („პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი“) შეეხო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამართულ კომისიის სხდომის საკითხს, სადაც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ასაჩივრებდნენ ქვემდგომი კომისიების გადაწყვეტილებებს. მან განაცხადა, რომ იქ მყოფი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“) სხდომის მიმდინარეობისას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ როგორც ცესკო-ს თავმჯდომარეს, ისე ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხვა წევრებს. მან დაგმო მსგავსი საქციელი და განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული ქმედებები მიზნად ისახავს საარჩევნო ადმინისტრაციისა და, ზოგადად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დისკრედიტაციას. ამასთან, მისივე თქმით, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლთა მიერ გავრცელებული ინფორმაციები, რომ საარჩევნო უბნებზე ოქმები ჩასწორდა მათი პარტიების ხმების საწინააღმდეგოდ, არ შეესაბამება სიმართლეს.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ საპარლამენტო აჩევნების მეორე ტურისთვის ამომრჩეველს მიეცემა საკუთარი პოლიტიკური არჩევანის გამოხატვის საშუალება. მან მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს მობრძანებისთვის.

კომისიის მომდევნო თარიღად გამოცხადდა 2020 წლის 27 ნოემბერი, 14:00 საათი.

სხდომა დასრულდა 12:56 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: